

1. **შესაძლებელია თუ არა პროექტში ჩართული იყოს დაბის სკოლები?**
შესაძლებელია. დაბა და ქალაქი ერთგვაროვანი ტიპის დასახლებად ჩაითვლება.
2. **რატომ განისაზღვრა პროექტის განსახორციელებლად მითითებული ვადად 2017 წლის 21 აგვისტო - 11 დეკემბერი?**
აღნიშნული ვადა მთლიანად მორგებულია სასწავლო წლის ფინანსებსა და მნიშვნელოვან თარიღებზე.
3. **შეუძლია თუ არა ორგანიზაციას შეიმუშაოს პროექტი გამჭოლ კომპეტენციაზე?**
რა თქმა უნდა, შეუძლია, თუმცა ამ საგრანტო კონკურსის ძირითადი მიზანი არ არის გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. მიმართულებებში არ არის მითითებული კონკრეტული საგანი. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ სასწავლო და სოციალური პროექტები, საკლუბო და საწრეო საქმიანობა წარმოდგენილი იყოს ინტერდისციპლინურად.
4. **არის თუ არა განსაზღვრული სატრენინგო საათების რაოდენობა?**
სატრენინგო საათების რაოდენობა წინასწარ არ არის განსაზღვრული, მთლიანად დამოკიდებულია პროექტის შინაარსზე, დაგეგმილ საქმიანობებსა და ორგანიზაციის გადაწყვეტილებაზე. აუცილებელია, ყველა აქტივობა და მათი ხანგრძლივობა იყოს ოპტიმალური და მიზნის შესაბამისი.
5. **პირველ, მეორე და მესამე მიმართულებაზე შედეგი რითი დასტურდება?**
პირველ მიმართულებაზე პროექტის ფარგლებში სკოლებმა ცვლილება უნდა შეიტანონ სასკოლო სასწავლო გეგმაში; მეორე და მესამე მიმართულებებზე მასწავლებლებმა უნდა აიტვირთონ eschool-ში შესაბამისი გეგმები. აღნიშნული წარმოადგენს დოკუმენტაციურ დადასტურებას, თუმცა ხარისხობრივი ცვლილებები/მაჩვენებლები გამოვლინდება ცენტრის მხრიდან პროგრამული და ფინანსური მონიტორინგის შედეგად.
6. **შეუძლია თუ არა ორგანიზაციას წინასწარ ნახოს საპროექტო განაცხადის ფორმა?**
კონკრეტული საპროექტო განაცხადის ფორმა საიტზე არ არის ცალკე ატვირთული, თუმცა განაცხადის შევსებისას შესაძლებელია პირობითად შეივსოს სავალდებულო ველები, ორგანიზაციამ ნახოს ყოველი მომდევნო საფეხურისთვის მოთხოვნილი ინფორმაცია. ასევე შესაძლებელია უკან დაბრუნება და დარედაქტირებაც. თუმცა გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი, განაცხადის რედაქტირება/წაშლა ფუნქცია ორგანიზაციას აქვს მანამდე, სანამ საბოლოო ეტაპზე მიუთითებს „განაცხადის წარდგენა“-ს, აღნიშნული ფუნქციის გამოყენების შემდეგ ცვლილებების შეტანა შეუძლებელია.
7. **ვინ ავსებს საპროექტო განაცხადს?**

საპროექტო განაცხადს ავსებს წამყვანი ორგანიზაცია. ის ავსებს პარტნიორი ორგანიზაციის მონაცემებს, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი და გადაწერილი როლები.

8. შესაძლებელია თუ არა საგრანტო თანხის ფარგლებში შეძენელ იქნას რომელიმე კომპიუტერული პროგრამა?

გრანტით არ ფინანსდება:

- საოფისე ქირა;
- კომპიუტერული ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა;
- ქვეგრანტის გაცემა;
- სხვა ხარჯი, რომელიც არ შეესაბამება პროექტის მიზნებს.

თუმცა სხვა ყველა ხარჯის, მაგალითად, კომპიუტერული პროგრამის შეძენის შემთხვევაში, მისი საჭიროება/აუცილებლობა მკაფიოდ უნდა იყოს დასაბუთებული. კომისია განიხილავს მიზანშეწონილობას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

9. როგორ მოხდება საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განაწილება ონლაინ ტრენინგების/კურსების შემთხვევაში ?

პროგრამის წარმომდგენმა თავად უნდა შემოგვთავაზოს კრედიტების დათვლის სისტემა როგორც ონლაინ, ისე პირისპირ ტრენინგის შემთხვევაში, რასაც შემდგომში განიხილავს კომისია. დღესდღეობით მასწავლებლის სახლი სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ახორციელებს ონლაინ ტრენინგებსა და ვებინარებს, შესაბამისად, ცენტრში არსებობს მსგავსი გამოცდილება.

10. შესაძლებელია თუ არა, აფხაზეთის განათლების სამინისტროში შემავალმა სკოლებმა მიიღონ პროექტში მონაწილეობა?

შესაძლებელია, თუ იქნება სკოლებისა და მასწავლებლების თანხმობა, მიმართულებების კრიტერიუმებისა და პროპორციების გათვალისწინებით.

11. შეუძლიათ თუ არა პროექტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღონ კერძო სკოლებმა?

გამოცხადებული გრანტის მიხედვით, პირველი მიმართულების ფარგლებში მხოლოდ საჯარო სკოლები იღებენ მონაწილეობას, თუმცა მითითებული რაოდენობის ზემოთ შესაძლებელია კერძო სკოლების ჩართვაც. მეორე და მესამე მიმართულებების ფარგლებში სამიზნე ჯგუფში მოაზრება მასწავლებელი განსაზღვრული სტატუსით და არა სკოლა.

12. როგორ მოხდება საგრანტო თანხის ჩარიცხვა?

პროექტის დაწყებისთვის ჩაირიცხება საერთო გრანტის 30% და ყველა დანარჩენი ნაწილი, საგრანტო ხელშეკრულების მიხედვით, მას შემდეგ, რაც დადასტურდება დანახარჯების მიზნობრიობა.

13. როგორ ხდება მასწავლებლებისა და სკოლების მოძიება პროექტისთვის?

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრულია მხოლოდ რაოდენობები, სტატუსები, სკოლების ტიპები. ორგანიზაცია თავად უკავშირდება პოტენციურ ბენეფიციარებს - სკოლას თუ მასწავლებელს, ან არჩევს ისეთ სკოლებს, რომლებთანაც უკვე აქვს მუშაობის გამოცდილება.

14. როდის მოხდება ცალკე ტრენინგპროგრამისა და კურსების აღიარება/აკრედიტაცია?

აღნიშნული საკითხი არ ეხება გამოცხადებულ საგრანტო კონკურსს, თუმცა ცვლილება ზოგადი განათლების შესახებ კანონში ინიცირებულია, სავარაუდოდ, განიხილება საშემოდგომო სესიაზე. მხოლოდ ამის შემდეგ ცენტრს უფლება ექნება განახორციელოს ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების რეგისტრაცია.

15. გვჭირდება თუ არა ბენეფიციარების მხრიდან თანხმობა?

საპროექტო განაცხადების მიღება სრულდება 21 ივლისს. სასურველია, ამ დროისთვის იყოს წარმოდგენილი ბენეფიციარი სკოლების თანხმობის ფურცელი (პირველი მიმართულების მიხედვით); თუ პროექტით გათვალისწინებულია პარტნიორი სკოლების შერჩევა პროექტის განხორციელების პროცესში, აუცილებელია, შერჩევის მექანიზმები მკაფიოდ იყოს გაწერილი. გამარჯვებულის გამოვლენამდე, კომისიის მუშაობის პროცესში, ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული დოკუმენტაცია იმის დასტურად, რომ პროექტი შესრულდება ჯეროვნად.

16. შესაძლებელია თუ არა საგრანტო თანხით ტენდერის გამოცხადება?

ყველა ორგანიზაცია ტენდერის გამოცხადების ფორმებს თავად განსაზღვრავს, დამოკიდებულია მათ იურიდიულ სტატუსზე. საგრანტო კონკურსის ფარგლებში ქვეგრანტის გაცემა არ შეიძლება.

17. შესაძლებელია თუ არა გრანტის თანხა გათვალისწინებული იყოს სატელეფონო და ინტერნეტის კომუნიკაციაზე, ტრანსპორტირების ხარჯებზე ?

შესაძლებელია. აუცილებელია, ყველა ორგანიზაციამ წარმოდგენილი პროექტის ხარჯთაღრიცხვაში დაადასტუროს ნებისმიერი სახის ხარჯის მიზანშეწონილობა/მიზნობრიობა.

18. შესაძლებელია თუ არა გრანტის თანხით ტრენერთა ხელფასის ანაზღაურება?

შესაძლებელია, ჩატარებული სამუშაოს წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით. ტრენერთა ჰონორარი, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ფინანსური ხარჯი, წინასწარ უნდა იყოს გათვალისწინებული პროექტის ხარჯთაღრიცხვაში.

19. როდის უნდა წარმოადგინონ ორგანიზაციებმა სკოლის თანხმობის ფურცლები ?

საპროექტო განაცხადების მიღება სრულდება 21 ივლისს, სასურველია, ამ დროისთვის იყოს წარმოდგენილი ბენეფიციარი სკოლების (პირველი მიმართულების მიხედვით); თუ პროექტით გათვალისწინებულია პარტნიორი სკოლების შერჩევა პროექტის განხორციელების პროცესში, აუცილებელია, შერჩევის მექანიზმები მკაფიოდ იყოს გაწერილი. გამარჯვებულის გამოვლენამდე, კომისიის მუშაობის პროცესში, ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული დოკუმენტაცია იმის დასტურად, რომ პროექტი შესრულდება ჯეროვნად.

20. აქვს თუ არა უფლება ერთმა ორგანიზაციამ მიიღოს მონაწილეობა ერთი და იმავე მიმართულების ერთსა და იმავე ლოტზე როგორც მთავარ, ისე პარტნიორ ორგანიზაციად?

არა, არ აქვს უფლება.